აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№97 (24.977) ხუთშაბათი, 8 - 9 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

2022 წლის 6 სექტემბერს, ბრიუსელში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომა გაიმართა, რომლის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში - ჯოზეფ ბორელთან და ევროკომისართან ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში - ოლივერ ვარჰეისთან პირისპირ შეხვედრები გამართა. „ასოცირების საბჭოს დღევანდელი სხდომა განსაკუთრებული მოვლენა იყო, რადგან პირველი უმაღლესი დონის ინსტიტუციური შეხვედრაა ევროპული საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც საქართველოს ევროპული პერსპექტივა იქნა აღიარებული“, - აღნიშნა პრემიერმა შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

* * *

პოლიტიკურმა ძალებმა უნდა იპოვონ ერთობლივი მუშაობის გზა და ეს არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ყველა პოლიტიკური პარტიის საქმეა, - ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჯოზეფ ბორელმა განაცხადა. მან ხაზი გაუსვა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობას“.

* * *

ყველანი კმაყოფილი უნდა ვიყოთ იმ ფაქტით, რომ საქართველო არის ის ქვეყანა, რომლის ევროპული პერსპექტივა აღიარებულია, - ამის შესახებ ევროკომისარმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში - ოლივერ ვარჰეიმ განაცხადა. „ახლა დგას რეფორმების დაჩქარების მომენტი! დრო ან ენერგია არ უნდა დაიკარგოს შიდა დაპირისპირებაზე, არამედ ერთად უნდა იმუშაოთ!“, - აღნიშნა მან საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

* * *

სახალხო დამცველის არჩევის ახალ წესთან დაკავშირებით რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებების პროექტს ოპოზიციის ნაწილმა მხარი დაუჭირა. კენჭისყრის პროცედურის დროს, პლენარულ სხდომას ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ 19 წევრი ესწრებოდა. მათგან 6-მა პროექტს ხმა მისცა. რეგლამენტში ცვლილებებს მხარი „ლელოს“ დეპუტატებმა და პარლამენტის ექვსმა უფრაქციო წევრმა დაუჭირეს. 88-ხმით ერთხმად - პარლამენტმა, პირველი მოსმენით, რეგლამენტში ცვლილებებს დაუჭირა მხარი, რომლის საფუძველზეც სახალხო დამცველის კანდიდატის წარდგენა და არჩევა ახალი წესითა და პროცედურით მოხდება.

მოამზადა
ია შველიძემ

საშემოდგომო სესია ბიუროს სხდომით გაიხსნა

6 სექტემბერს აჭარის უმაღლეს საბჭოში საშემოდგომო სესია ბიუროს სხდომით გაიხსნა. ინფორმაციას რეგიონის საკანონმდებლო ორგანო ავრცელებს

„დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა. 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტალის შესრულების ანგარიში კომიტეტებში ჩაეშვა, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

ბიუროს გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ორგანოში შემოსულ მორიგ პეტიციაზე - „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობის თაობაზე“ (ავტორი: ალექსანდრე ლორთქიფანიძე) განხილვის პროცედურები იწყება, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი.

ბიურომ მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს 2022 წლის ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატან ცვლილებას, რომელიც აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ წარმოადგინა. ცვლილება საკანონმდებლო ორგანოს შენობის სრულ ადაპტირებას და მასთან დაკავშირებულ პროცესებს უკავშირდება.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს სხვადასხვა საკითხზე“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ჯანდაცვის სამინისტროში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ მოადგილეებთან, ჯანმრთელობის, ასევე, სოციალური დაცვის და სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან ერთად, აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის მერიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა უწყებების მომავალი წლის ბიუჯეტში ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სტიქიით დაზარალებულთა მიმართულებით როგორც სამინისტროს, ასევე, თვითმმართველობების პროგრამებში დაგეგმილი სიახლეების გაცნობა-განხილვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს რეგიონში ერთიან მიდგომას სერვისების დანერგვის კუთხით და მუნიციპალიტეტების მოსახლეობის თანაბარ პირობებში ჩაყენებას.

მეათე - საიუბილეო 2

«ძალლებს გენეტიკაში აქვს ადამიანის სიყვარული» 4

«მთელი სამყაროც კი არ ღირს იმდენი, რამდენიც ერთი ადამიანის სული» 5

უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში... 6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბსუ-ის დოქტორანტი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტებს შორისაა

ბსუ-ის დოქტორანტი როლანდ შავაძე 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 5 ფინალისტს შორისაა

როლანდ შავაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“ 2017 წელს დაასრულა. ბსუ-ში სწავლის პერიოდში ისარგებლა „Erasmus+“-ის გაცვლითი პროგრამით და ერთი სემესტრი სწავლობდა ბულგარეთის რუსეს უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წელს დაასრულა ბსუ-ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამჟამად, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტი უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტია.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მიზანია პროფესიის პოპულარიზაცია და მისი პრესტიჟის ზრდა. კონკურსის პირველ ეტაპზე აპლიკაციები ტექნიკურად მოწმდება, მეორე ეტაპისთვის ვლინდება კონკურსანტთა ათეული, ხოლო მესამე ეტაპზე ცნობილი ხდება ხუთი ფინალისტის ვინაობა.

ფინალისტებს შორის გამარჯვებული 5 ოქტომბერს, დაჯილდოების ცერემონიაზე, მასწავლებლის მსოფლიო დღეს დასახელდება.

ქალების როლის გასააქტიურებლად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქედაში, „ქალთა ოთახის“ ორგანიზებით და ქალთა ოთახების გაერთიანების „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით, სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ქედა ერთ-ერთი სამიზნე მუნიციპალიტეტია, სადაც შეიქმნა სადისკუსიო პლატფორმები. შეხვედრაზე ისაუბრეს ახალი პროექტის „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებებში“ შესახებ, რომლის მიზანია სოფლად ქალების მობილიზება, გააქტიურება, პრობლემების წარმოჩენა და მოგვარების გზების დასახვა.

საინფორმაციო შეხვედრას „ქალთა ოთახების“ გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი ფატიმა ბოლქვაძე და პროექტის მობილიზატორი ია გელაძე უძღვებოდნენ.

მეათე – საიუბილეო

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ 2013 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში რეჟისორ ვახტანგ ბერიძის იდეითა და ორგანიზებით დაფუძნდა. მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება. წელს მეათედ გაიმართება

დროის ამ მონაკვეთში ჩატარდა 35 პოეზიის საღამო, 23 საჯარო ლექცია, 21 ფოლკლორული კონცერტი, 3 ლიტერატურული სპექტაკლი, გადაღებულია 25 ვიდეო „კინო-პოეზია“, გამოიცა ოთხი წიგნი, მათ შორის ერთი ქართულ-იტალიურ ენაზე.

2018 წელს ფესტივალს დაემატა სექცია - „კინო-პოეზია“, რომლის ფარგლებშიც ხუთმა დამწყებმა რეჟისორმა ხუთი მწერლის ნაწარმოებზე გადაიღო ვიდეორგოლები, რომლებიც ეძღვნება აჭარას. მათში ასახულია აჭარის ისტორიული ძეგლები, დღევანდელი ყოფა და ტრადიციები.

2019 წელს ფესტივალს დაემატა კიდევ ერთი სექცია - „პოეზია ფერწერაში,“ რომელშიც ქართველებთან ერთად იტალიელი მხატვარი ალესანდრო ალეგრა მონაწილეობდა. შეიქმნა ფერწერული ტილოები.

2019 წელს ფესტივალს „ზე-კართან“ სტუმრობდა იტალიელი გამომცემელი დომენიკო პოლიტო. სტუმრობის მიზანი იყო ორი (ქართული და იტალიური) ფესტივალის დამეგობრება და სამომავლოდ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება. იმავე წლის დეკემბერში გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი ფესტივალ „ზე-კარსა“ და იტალიაში არსებულ ლიტერატურულ ფესტივალ „Xenia Book Fair“-ს შორის, რომელიც გულისხმობდა ოთხი ქართველი და ოთხი იტალიელი ავტორის ნაწარმოებების ქართულ და იტალიურ ენებზე თარგმნას, ერთობლივი წიგნის გამოცემას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ იტალიასთან, კერძოდ კი რეჯიო დი კალაბრიას რეგიონსა და აჭარის რეგიონს შორის ეს პირველი ქართულ-იტალიური ერთობლივი კულტურული პროექტი გახლავთ.

2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გამო ფესტივალი ჩატარდა ჰიბრიდული წესით. ლიტერატურული საუბრები ცნობილ ბერძენ დრამატურგსა და მწერალს დიმიტრის დიმიტრიადისთან, იტალიელ მწერლებს ანდრეა კალაბრეზესა და ლიზა ფიკარასთან ონლაინ პლატფორმების გამოყენებით ჩატარდა.

ფესტივალი განსაკუთრებულ როლს თამაშობს აჭარაში საფესტივალო კულტურის დამკვიდრებაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და ლიტერატურის, წიგნიერების გავრცელებაში.

მიმდინარე წელს საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილეთა სია წინასწარი ვარაუდით ასეთი იქნება: როსტომ ჩხეიძე, შორენა ლებანიძე, ბათუ დანელია, ივა ფეზუაშვილი, გიორგი არაბული, მაკა ლდოკონენი, ბექა ადამაშვილი, გვანცა ჯობავა, ეკატერინე ტოგონიძე, ზვიად კვარაცხელია, ნიკა ღაშხია, ერეკლე დეისაძე, ირაკლი შამათავა, ირმა ტაველიძე, ლიკა ჭელიძე, რატი მუჯირი, ბელა ქებურია, ზაალ ჩხეიძე, ბესო სოლომონაშვილი, მაკო ჯაოშვილი, როინ აბუსელიძე, გიორგი ხორბალაძე, რუსკა ჟორჟოლიანი, ქეთი ჯოლბორდი, ნინო მოდრეკილაძე.

ათი წლის განმავლობაში იყო გამორჩეულ ავტორებთან შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, საჯარო ლექციები, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები, წარმოდგენები, ფილმების ჩვენება. წელსაც მრავალფეროვანი და შემოქმედებითად დატვირთული შეხვედრები იქნება. ფესტივალი ჩატარდება 23-26 სექტემბერს შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსის“ გამარჯვებულია.

ტრადიციულად საფესტივალო დღეები დატვირთული იქნება შემოქმედებითი და შემეცნებითი ღონისძიებებითა და აქტივობებით, რითაც ეს ფესტივალი თავის გამორჩეულ სახეს იმკვიდრებს, იგი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, შუახევის და ხულოს მერიის ფინანსური მხარდაჭერით ტარდება.

აჭარაბეთ არენა პოსტსაბჭოთა სივრცეში ტექნიკური შესაძლებლობებით უნიკალური IV დონის სტადიონია

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმის აჭარაბეთ არენა ერთ-ერთი დიდი ობიექტია ქვეყანაში, რომლის ტექნიკურ გამართულობაზე სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ჯგუფი მუშაობს. განათებას, ხმას, შიდა ტაბლოებს, დაცვას, პრესის ოთახს - ყველაფერს ინდივიდუალური სამსახური ჰყავს

თამაშის სრულყოფილად ჩასატარებლად მნიშვნელოვანია ხმის და ტაბლოს ხარისხი, ასევე, განათება, რომელიც საკმაოდ დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამგვარად, ხმის პულტთან, განათებასთან და ტაბლოსთან სხვადასხვა ადამიანი მუშაობს. ცალკეა თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში დაცვის სისტემას აკონტროლებს.

როგორც ობიექტის დაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მართვის სამსახურის უფროსმა ირაკლი თოიძემ გვითხრა, სტადიონს გარე და შიდა პერიმეტრზე, 24-საათიან რეჟიმში იცავს და შიდა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს 30 ადამიანი, მათ შორის, 20 დაცვის თანამშრომელი, 5 ვიდეომეთვალყურე და 5 სახანძრო მართვის პულტის ოპერატორი. ისინი 12-საათიანი გრაფიკით მუშაობენ და თითოეული კონკრეტულ მოვალეობას ასრულებს. შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული 246 ვიდეოთვალის მონაცემი თავს იყრის 22 მონიტორზე, რომელთანაც ვიდეოკონტროლის ოთახში სისტემატურად რამდენიმე მეთვალყურე მუშაობს.

IT სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტის გიორგი კომახიძის თქმით, განათების და ხმის სისტემები უახლესი აპარატურითაა აღჭურვილი, რომლის გამართულად მუშაობისთვის რამდენიმე ადამიანია მართვის პულტთან.

- აჭარაბეთ არენას სპორტული განათების სიტემა აქვს. ტრიბუნების თავზე, სპეცპლატფორმაზე დამონტაჟებულია 190 ნათურა. სპორტული

განათება შესაძლებლობას იძლევა, ღამითაც როგორც დღისით, ისე გაანათოს ყველა კუთხე, ჩრდილების გარეშე. IT სამსახურს ევალება სტადიონის გარე ფასადის თემატური განათება, რომელიც ჩვენი სურვილის და მოვლენის შესაბამისად ნათდება და აქაც ხაზგასასმელია, რომ ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, საინტერესო და ორიგინალური დიზაინის განათების სიტემა აქვს აჭარაბეთ არენას მთელს ამიერკავკასიასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, შიდა პერიმეტრზე იდეალურადაა გადანაწილებული 24 სპეციალურ კონსტრუქციაზე (ბანანზე) დამონტაჟებული დინამიკები, რომელიც ხარისხიან ხმას უზრუნველყოფს. აჭარაბეთ არენას მაყურებელთა კომფორტისთვის 2 ელექტროტაბლო აქვს, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და მაჩვენებლებით. ცალკე საკითხია ჟურნალისტებისთვის მედიაცენტრი და საკომენტატორო ოთახები, რომლებიც შესაბამისადაა აღჭურვილი. რა თქმა უნდა, ეს ოთახები ერთ-ერთი მთავარი ლოკაციაა სტადიონზე მოედნის შემდეგ. მედიაცენტრს სპეციალური საშუალებებით დაცული 2 დიდი (ყრუ) ოთახი აქვს დათმობილი, საიდანაც ნებისმიერი ტიპის და დონის მატჩის პირდაპირი სატელევიზიო და რადიოგადაცემების წაყვანა და ადგილზევე დამონტაჟებაა შესაძლებელი. ჟურნალისტებს შეუძლიათ პირდაპირი ჩართვები გააკეთონ, ატვირთონ სასურველი მასალა და ახალი ამბავი მყისიერად გაავრცელონ მათთვის სასურველ ნებისმიერ მედიასაშუალებაში.

ცალკეა სატელევიზიო მედიისთვის განკუთვნილი და ცალკე - რადიოჩართვებისთვის საჭირო, ყველანაირ ტექნიკურ აღჭურვილობას მორგებული და გამართული სივრცეები. ასევე, ინდივიდუალური ოთახი აქვთ კომენტატორებსაც. სადაც ერთდროულად მინიმუმ 10 სპორტულ კომენტატორს შეუძლია მატჩის წაყვანა. გარდა ამისა, პირდაპირი ეთერის კადრის მართვის პულტი, რაც პირდაპირ ეთერში კადრის მიხვევის და საინტერესო მომენტების განხილვის საშუალებას იძლევა, მხოლოდ ამ სტადიონს აქვს, - გვითხრა გიორგი კომახიძემ.

აჭარაბეთ არენის 2 ელექტროტაბლოს IT სამსახური საუკეთესო აპარატურით მართავს. ტაბლო ნებისმიერი ფორმატის ვიდეოს მაღალი ხარისხით გაშვების საშუალებას იძლევა.

ენმ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას ითხოვს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ბათუმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას ითხოვენ. როგორც მათ ბრიფინგზე განაცხადეს, „ქართული ოცნების“ და მერიის გადაწყვეტილებაა, რომ ბათუმის საავტორო კინოს ფესტივალი არ დაფინანსდა. მათივე თქმით, BIAFF-ი დაუყოვნებლივ უნდა დაფინანდეს. ამასთან, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აცხადებენ, მათ კითხვები აქვთ, რატომ გამოიყო „პრაიმ-შოუს“ კონცერტისთვის თანხა და რატომ არ ფინანსდება კინოფესტივალი BIAFF-ი.

- „ქართულმა ოცნებამ“ და ბათუმის მერიამ გადაწყვიტა, რომ ფესტივალის ხარჯები არ დაა-

ფინანსოს. პასუხი არ არსებობს, რატომ არ ხდება ფესტივალის დაფინანსება. სოფო ხალვაშმა

განაცხადა, რომ საკრებულო ვერ შეიკრიბა და სხდომა არ ჩატარდა, რის გამოც კონკურსის დროულად გამოცხადება ვერ მოხდა. სოფო ხალვაშს შევახსენებთ, რომ არჩევნების დასრულებისთანავე საკრებულოს ოპოზიცია შეკრებილი იყო, სხდომის ჩანიშვნას ველოდებოდით, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ბოიკოტი გამოუცხადა. ამიტომ ყველაფერზე პასუხისმგებელია „ქართული ოცნება“. საკრებულოს თავმჯდომარეს მოვუწოდებთ, რიგგარეშე სხდომა მოვიწვიოთ, მერმა ცვლილება წარმოადგინოს, და დავაფინანსოთ ფესტივალი, - განაცხადა ლაშა კილაბერიამ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას მმართველ გუნდში უპასუხეს. „ქართული ოცნების“ წევრის თენგიზ აფხაზავას თქმით, ბოიკოტის რეჟიმში თავად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იმყოფებოდა. მისივე თქმით, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა არ ჩატარდება.

- რიგგარეშე სხდომა არ გაიმართება. მათ არაერთხელ შევთავაზეთ ბოიკოტის რეჟიმის დარღვევა. ახლა ხომ შემობრძანდნენ, თავის დროზე შემოსულიყვნენ და ბათუმის მერიას არ დაჭირდებოდა, ფორსმაჟორულ რეჟიმში დებულების მიღება. სიცრუეა, თითქოს ჯიბრზე არ დაფინანსდა ფესტივალი, - აღნიშნა თენგიზ აფხაზავამ.

საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციულია და უკვე რამდენიმე წელია, შემოდგომაზე იმართება.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია საქართველოს დაეხმარება

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) საქართველოს დაეხმარება ტურისტულ სფეროში განათლების ხარისხის ამაღლებაში, ასევე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ინოვაციების დანერგვაში, - იუწყება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეს-სამსახური

საქართველოს ტურისტულ სექტორში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, საქართველოსა და UNWTO-ს შორის მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა გამართულ შეხვედრაზე.

უწყების ცნობით, შეხვედრაზე დადებითად შეფასდა საქართველოს ტურიზმის სექტორის აღდგენის დინამიკა, რომელიც ერთ-ერთი მაღალია რეგიონში. აღინიშნა, რომ 2022 წლის დასაწყისიდან ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლე-

ბმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. ივლისში ტურიზმიდან შემოსავალმა 476,1 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 131,9%-ით მეტია გასული წლის მაჩვენებელზე და 20,4%-ით მეტია 2019 წლის ივლისთან შედარებით. ითქვა, რომ დარგში მიმდინარე პოზიტიური ტენდენციები განაპირობა საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ, აგრეთვე ეკონომიკის სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეფექტიანმა აქტივობებმა პოტენციურ სამიზნე ბაზრებზე.

სტატისტიკის თანახმად, 2022 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 214,4%-ით გაიზარდა. წლის დასაწყისიდან შვიდ თვეში ქვეყანამ 2,3 მლნ საერთაშორისო ვიზიტიორი მიიღო - 2019 წლის მაჩვენებელი 47,2%-ით აღდა.

2022 წლის იანვარ-ივლისში საერთაშორისო მოგზაურებიდან საქართველოს შემოსავლებმა 1,6 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 220,5%-ით მეტია გასულ წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. გარდა ამისა, შემოსავლები 2019 წლის დონესთან შედარებით, როდესაც საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების პიკი იყო, 87,4%-ით აღდგა.

უკრაინა

ომის დაწყებიდან 7 სექტემბრამდე უკრაინული ძალების მიერ რუსეთის 50 610 ჯარისკაცია ლიკვიდირებული, მათგან 460 ბოლო 24 საათში. აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, უკრაინულმა მხარემ, რუსული ძალების ქვეყანაში შემოჭრის დღიდან მათი კუთვნილი სხვადასხვა სახის ტექნიკა გაანადგურა. „უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს: 2097 ტანკი, 4520 ჯავშანტექნიკა, 1194 ერთეული საარტილერიო სისტემა, 300 ერთეული მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, 156 ერთეული საჰაერო თავდაცვის სისტემა, 237 საბრძოლო თვითმფრინავი, 208 ვერტმფრენი, 880 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 3320 სხვადასხვა ავტომობილი და ტანკერი, 109 ერთეული სპეცტექნიკა და 214 ფრთოსანი რაკეტა“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

სასტიკი დაპირისპირება ფრონტის თითქმის მთელ ხაზზე გრძელდება, ეს არის საბრძოლო მოქმედებების 1 300 კილომეტრი და უბრალოდ უსამართლოა, როდესაც ბევრს საუბრობენ ფრონტის გარკვეულ მონაკვეთებზე, ზოგი კი - თითქოს დავიწყებულია, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, უკრაინელი მეომრები მრავალი მიმართულებით აკეთებენ აბსოლუტურად დიდ საქმეს და ისინი აბსოლუტური გმირები არიან. „დონბასში, ხარკოვის ოლქში, ზაპოროჟიეს ოლქში, სამხრეთით, ქვეყნის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთის სასაზღვრო რაიონებში მთელი სახელმწიფოს დაცვას სჭირდება თანაბრად გულწრფელი და სერიოზული ყურადღება“ - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა უკრაინის სამხრეთ ნაწილში მდებარე რამდენიმე დასახლება დაიბრუნეს, - ამის შესახებ სამხრეთ უკრაინის თავდაცვის ძალების ერთობლივი საკოორდინაციო პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნატალია ჰუმენიუკმა განაცხადა. მისი თქმით, გათავისუფლებული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი, რათა არ მოხდეს ოკუპანტების მხრიდან მასიური დარტყმების განხორციელება. „არის ტერიტორიები, რომლებიც უკვე გავათავისუფლეთ და არსებობს სავარაუდო დრო ამ ტერიტორიების გამოცხადებისთვის, რომლებიც უკვე მთლიანად უკრაინის იურისდიქციაშია. ამიტომ, ცოტა ხანს მოვითმინოთ, ვამზადებთ ოფიციალურ შეტყობინებას ამ საკითხთან დაკავშირებით“, - განაცხადა ჰუმენიუკმა.

* * *

უკრაინულმა ძალებმა ქვეყნის სამხრეთით რუსული „სუ-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდეს, - ამის შესახებ ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ იუწყება. მათივე ინფორმაციით, სამხრეთ უკრაინის ოპერაციულ ზონაში ვითარება დაძაბული და დინამიურია. მოწინააღმდეგე აგრძელებს თავდაცვით ბრძოლებს და დასახლებების დაბომბვას, საპასუხოდ, უკრაინულმა ავიაციამ მტერს 13-ჯერ დაარტყა, სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა კი 250-ზე მეტი საცეცხლე ამოცანა შეასრულეს. „მტრის დადასტურებული დანაკარგებია: 83 რაშისტი, 5 ტანკი, 12 ჰაუბიცა, 3 ერთეული ჯავშანტექნიკა. ამასთან, გოლოი პრისტანში, ტომინა ბალკასა და სნიგირევკაში განადგურდა საბრძოლო მასალის 3 საცავი“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

რუსმა სამხედროებმა უკრაინაში შეჭრის დაწყების დღიდან 383 ბავშვი მოკლეს, - ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს. „7 სექტემბრის არსებული ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 383 ბავშვი და დაშავდა 742“, - აცხადებენ უწყებაში. მათივე ცნობით, ეს მაჩვენებლები არ არის საბოლოო, რადგან გრძელდება მუშაობა დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე აქტიური საომარი მოქმედებების ადგილებზე. ცნობისათვის, უკრაინის ომბუდსმენის აპარატმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან ქვეყანაში დაკარგულად 236 ბავშვი ითვლება.

* * *

ოკუპანტებმა სლავიანსკში სკოლა და საცხოვრებელი სახლი დაბომბეს, - ამის შესახებ სლავიანსკის მერმა ვადიმ ლიახმა განაცხადა. „კვლავ ცუდი დღე გვაქვს. ორი დარტყმა. ჩერევკოვკა, მე-4 სკოლა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. ტორსკაიას ქუჩა, სახლი №43. სადარბაზო ჩამოშლილია, ნანგრევების ქვეშ შესაძლოა ხალხი იყოს. სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს“, - განაცხადა მერმა. მისი თქმით, დაღუპულთა ან დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. დაზიანებულია ახლომდებარე სახლებიც.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უცხოეთი

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში აცხადებს, რომ რუსულმა და უკრაინულმა ძალებმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის გარშემო ყველა სამხედრო ოპერაცია უნდა შეწყვიტონ, რაც მოიცავს რუსეთის ძალების ვალდებულებას, გაიყვანოს სამხედრო პერსონალი და აღჭურვილობა ამ პერიმეტრიდან. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ზაპოროჟიეს ელექტროსადგურზე ვიზიტის შემდგომ გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგინა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ სააგენტო სერიოზულად შეშფოთებულია ელექტროსადგურზე არსებული უპრეცედენტო სიტუაციით და ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად დროებითი ზომების მიღებას ითხოვს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ არ უნდა აღიარონ. ჟურნალისტის შეკითხვაზე, უნდა იყოს თუ არა რუსეთი აღიარებული ტერორიზმის სპონსორად, ჯო ბაიდენმა უპასუხა: „არა“. ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოებად აშშ-ის მიერ აღიარებულია კუბა, ირანი, სირია და ჩრდილოეთ კორეა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მტკიცებით, უკრაინაში მიმდინარე ე.წ. სპეცოპერაცია სარკისებური პასუხია იმაზე, რაც იქ რამდენიმე წლის განმავლობაში ხდებოდა. „ჩვენ არაფერი დაგვიწყია სამხედრო ოპერაციების კუთხით, არამედ მხოლოდ დასრულებას ვცდილობთ. საომარი მოქმედებები დაიწყო 2014 წელს, უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ“, - განაცხადა რუსეთის ლიდერმა. მისივე თქმით, უკრაინაში ე. წ. სპეცოპერაციის დაწყებით რუსეთს არაფერი დაუკარგავს. „არაფერი დაგვიკარგავს და არც დავკარგავთ. შეძენის თვალსაზრისით, შემიძლია ვთქვა, რომ მთავარი შენაძენი არის ჩვენი სუვერენიტეტის გაძლიერება და ეს არის გარდაუვალი შედეგი იმისა, რაც ახლა ხდება“, - აღნიშნა პუტინმა.

* * *

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ევროპაში შექმნილი ენერგოკრიზისის მიზეზად რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ასახელებს და აცხადებს, რომ ევროპის ქვეყნები „იმკიან იმას, რაც დათესეს“. „იმკიან იმას, რაც დათესეს. ევროპის დამოკიდებულებამ ბატონი პუტინის მიმართ, მისმა სანქციებმა მიიყვანა პუტინი იქამდე, რომ ეთქვა: „თუ ამას გააკეთებ, მე იმას გავაკეთებ“. ის იყენებს ყველა საშუალებას და იარაღს. ბუნებრივი აირი, სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანია“, - განაცხადა ერდოღანმა.

* * *

გაერთიანებული სამეფოს 56-ე პრემიერ-მინისტრად ლიზ ტრასი დედოფალმა ელისაბედ მეორემ ოფიციალურად დანიშნა. ტრასი შოტლანდიაში ჩავიდა, სადაც მათი შეხვედრა გაიმართა. ბრიტანული კანონმდებლობის მიხედვით, ახალი პრემიერ-მინისტრი მონარქმა უნდა დანიშნოს. აღნიშნულ პოსტზე ტრასი მმართველმა „კონსერვატიულმა პარტიამ“ აირჩია. კენჭისყრაში მან ყოფილი ფინანსთა მინისტრი რიში სუნაკი დაამარცხა. ლიზ ტრასმა მთავრობის ახალი წევრები უკვე წარადგინა.

მოამზადა
ია შველიძემ

მთაში სირთულე მრავლადაა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

რამდენიმე დღეც და მთა ზოტიყელში სიმყუდროვე დაისადგურებს. ღორჯომის ხეობის 200-ზე მეტი ოჯახი პირუტყვს ბარში გადმორეკავს. მათ ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემა აღარ ექნებათ. დაწყებულია და გაისად დასრულდება ღორჯომი-ზოტიყელის 26-კილომეტრიან გზაზე ბეტონის საფარის დაგება, ასევე სხვა სამუშაოები. თუმცა მთაში პრობლემები ისევ არის.

ამ დღეებში მთაში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გაცნობის და მათი მოგვარების გზებზე ერთობლივი მუშაობის მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, მთა ზოტიყელში მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობის შეკითხვებს უპასუხეს და მთავრობის მიერ დაგეგმილ პროექტებსა და პროგრამებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

„ძაღლს გენეტიკაში აქვს ადამიანის სიყვარული“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

უპატრონო ძაღლების მომრავლება საკმაოდ აშინებთ ადამიანებს. ზოგიერთი ამართლებს ძაღლმჭერი ბრიგადების მოქმედებას, ზოგი კი აშკარად უპირისპირდება ამ პრაქტიკას და აკრიტიკებს მათ მეთოდებს. ვინაიდან არც პრობლემის და არც მისი შესაძლო გადაჭრის ნათელი წარმოდგენა თითქმის არავის აქვს, თითოეულ მხარეს საკუთარი ვარიანტის წარმოდგენა სურს

ევროპაში განსაკუთრებით ცდილობენ ადამიანებს და ცხოველებს შორის გულისხმიერი ურთიერთობების დამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროპის ნაწილია, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო ცხოველთა უსაფრთხოება სრულად არ არის დაცული.

ქუჩის უპატრონო ძაღლების პრობლემის მოგვარების მეთოდები უეფექტო და უმეტესად ბარბაროსულია. ეს არ არის მხოლოდ უსახლკარო ცხოველების პრობლემა, ეს საქართველოს მოსახლეობის პრობლემაცაა, რადგან ქუჩაში მყოფ უპატრონო ძაღლებს მათი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა შეუძლიათ. ეს პრობლემა დღეს საკმაოდ აქტუალურია.

საქართველოში არსებობს ცხოველთა დაცვის რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც

საქმე უფრო რთულად დასრულდებოდა. დავრეკეთ 112-ში. მოვიდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ძაღლების დაჭერა ვერ შეძლეს და ამით დამთავრდა ეს პრობლემა. იმ დღეს, როცა ეს მოხდა, აცრის გასაკეთებლად ჩემთან ერთად კიდევ ოთხი ადამიანი იყო, რომლებიც ქუჩის ძაღლების მიერ იყვნენ დაკბენილები“, - ამბობს ნათია ლომაძე.

აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობს კიდევ ერთი ქალბატონი ნინო შაინიძე, მის შვილსაც ქუჩის ძაღლმა დაკბინა. იგი აღნიშნავს, რომ ბათუმში თიბისი ბანკის მიმდებარე სკვერებსა და ზუბალაშვილის ქუჩაზე ხშირად ხდება მსგავსი შემთხვევები. ამგვარი ისტორიების მომრავლების კვალდაკვალ, ცხოველთა უფლებების დამცველი, ა(ა)იპ „ცხოველთა სამყაროს“ თავმჯდომარე, ოზურგეთის დროებითი თავშესაფრის დირექტორი **ბუღო ფუტკარაძე** გვესაუბრება.

- ქალბატონო გულო, რა უფლებებით სარგებლობენ ცხოველები საქართველოში?

- ალბათ დადგება დღე, როდესაც ცხოველები მიიღებენ უფლებებს, რომლებსაც მათ ვეღარავინ ჩამოართმევს ტირანის გარდა... დღე, როდესაც მივხვდებით, რომ ფეხების რაოდენობა, ბეწვის სიხშირე თუ თავის ძვლის მოყვანილობა საკმარისი არ არის, რათა ცოცხალი არსება ჯალათს განუსჯელად ჩავუგდოთ ხელში. უპირველესად, მთავარია გავიაზროთ, რომ ის კი არ არის საკითხავი, ფიქრობენ ან ლაპარაკობენ თუ არა ცხოველები, არამედ ის, იტანჯებიან თუ არა ისინი.

სისხლის სამართლის 259-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის დასჯას, ვინც ცხოველზე სასტიკ ქმედებას განახორციელებს. სასჯელი შეიძლება შემოიფარგლოს ფულადი ჯარიმით ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთით. სამწუხაროდ, ძაღლის მიმართ აგრესიას როგორც მოზარდები, ისე ზრდასრულებიც ხშირად ავლენენ და სწორედ ასეთი განწყობა ხდება მათი დაზარალების მიზეზი. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძაღლები ქუჩაში მათ დასაკბენად დადიან. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა ჯერ კიდევ ვერ მოიშორა ცხოველების შიში, რომლებიც ხშირად საკვების მოპოვების მიზნით აგვედევნებიან. თუ იმას გავიაზრებთ, რომ ადამიანებს და ცხოველებს მშვიდობიანად თანაარსებობა შეგვიძლია, მათგან დაკბენის საფრთხე შემცირდება და ცხოველთა უფლებების საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგდება საქართველოში. ზოგიერთი ოპონენტი, რომელსაც ადამიანების საზოგადოებაში ცხოველთა უფლებებზე საუბარი ზედმეტი და უადგილო ჰგონია, აღნიშნავს, რომ ცხოველს, როგორც არამოაზროვნე, ადამიანს დაქვემდებარებულ არსებას, უფლება ვერ ექნება, რადგან მას ვერ გაიაზრებს და დამოუკიდებლად ვერ გამოიყენებს. მას არ შეუძლია ფიქრი და განსჯა. ცხოველი არ არის და ვერც იქნება ისეთი მნიშნელოვანი, როგორიც ადამიანია. მას არ აქვს ვალდებულებები. იყენებენ რელიგიურ არგუმენტსაც: ღმერთმა ცხოველი იმისთვის შექმნა, რომ გამოვიყენოთ. ამ არგუმენტების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ცხოველთა უფლებები არ გულისხმობს ცხოველთათვის იმავე უფლებების მინიჭებას, რაც ადამიანებს აქვთ. ამასთან, თუ ვაღიარებთ, რომ ადამიანი მოაზროვნე, ზნეობისა და მორალის მქონე არსებაა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მას გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება. მზრუნველობა, ჰუმანურობა, სიკეთე ის ღირებულებებია, რომლებიც ადამიანის, როგორც ზნეობრივი არსების ღირებულებათა სისტემაში აუცილებლად უნდა იყოს. შესაბამისად, ცხოველებზე, სხვა ცოცხალ არსებებზე, მთლიანად ბუნებაზე ზრუნვა, მისი მოფრთხილება, უდავოდ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

- როგორ შეიძლება თავი დავიზღვიოთ დაკბენისგან და როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, თუ ქუჩაში ძაღლების გარემოცვაში აღმოჩნდა?

- სამწუხაროა, ამის თქმა რომ მიხდება, მაგრამ ჩვენთან მოსახლეობის 90%-ს ძაღლის ბედი არ აინტერესებს. მათი სურვილია, ეს ცხოველები ქუჩიდან მოაშორონ და ამას, სამწუხაროდ, მათი განადგურებით ცდილობენ. ბათუმის მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანია „სევერი“ ქუჩაში მყოფ ძაღლებს მეთვალყურეობს 112-ის სამსახურის მეშვეობით. მოსახლეობა რეკავს თუ, მაგალითად, მის ეზოში არის ძაღლი, რომელიც აგრესიულია ან იყო დაკბენის შემთხვევა. შეტყობინების შემდეგ ჩვენი სამსახური გამოძახების ადგილზე მიდის. ვაკვირდებით ცხოველს, რომლისგანაც მოქალაქეს დაკბენის შიში აქვს. თუ ცხოველი ლაბორატორიაში მიყვანას საჭიროებს, მას კვლევა უტარდება, უღებენ ბეწვის, კანის, სისხლის ანალიზებს. თუ ცხოველს ადამიანისათვის საშიში რომელიმე დაავადება დაუდგინდება, მაშინ მას უტარდება ევთანაზია. ეს არის ჰუმანური, უმტკივნეულოდ მოკვდინების აქტი, ხოლო თუ ასეთი დაავადება, აგრესია ცხოველს არ დაუდგინდა, მას ვმკურნალობთ. თუ გამოჯანმრთელდა და მოსახლეობისათვის საშიში არ არის, ვაბრუნებთ იმავე ბუნებრივ გარემოში, საიდანაც ავიყვანეთ, ოღონდ აუცილებლად ვაქცინაციის შემდეგ. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ძაღლების გარემოცვაში აღვმოჩნდებით, ცხადია, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და ადამიანსა და ცხოველზეა დამოკიდებული. თუმცა, მაინც შეგვიძლია ძირითადი ასპექტები გამოვყოთ და, მეტ-ნაკლებობის პრინციპით, იმის საერთო სურათი შევქმნათ, რაც დღეს ამ თვალსაზრისით ქუჩებში ხდება. ქუჩის ძაღლის აგრესია ხშირად პასუხია ადამიანის აგრესიაზე. ძუ ძაღლმა შესაძლებელია თავდაცვის რეფლექსი გამოავლინოს, თუ ის მეძუძურია და შორიახლოს ჰყავს ლეკვები. ისინი ამ დროს ღიზიანდებიან და ყეფით გვაფრთხილებენ, რომ არ მივეკაროთ მას და მის ნაშიერს. თუკი მის ტერიტორიას მშვიდად გავეცლებით, საფრთხეს არც მოქალაქე და არც ძაღლი იგრძნობს. ქუჩაში აგრესიის ნიშნებს, ძირითადად, ავლენს ძაღლების ხროვა, რომელსაც ერთი კონკრეტული ტერიტორია საკუთრად აქვს აღქმული. რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი გამოსავალია, ძაღლის, მით უმეტეს ხროვის დანახვისას ტერიტორიას გაეცალოთ და სხვა გზით წახვიდეთ. კარგი იქნება, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გაიაზროს ის შეხედულება, რომ ძაღლს გენეტიკაში აქვს ადამიანის სიყვარული და მის მიმართ მინიმალური სითბოს გამოვლენის შემთხვევაში, ათმაგად აბრუნებს მას.

- ჩვენს ქვეყანაში რა შეიძლება გაკეთდეს ცხოველთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით?

- პირველ რიგში, საზოგადოების ცნობიერება უნდა ამაღლდეს. ამას სჭირდება დიდი შრომა და, პირველ რიგში, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან პრობლემის გადაწყვეტის სურვილი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი პრობლემის გადაჭრა.

ბათუმელები ხშირად საუბრობენ ქალაქში მომრავლებული ქუჩის ძაღლების გამო შექმნილ პრობლემებზე. ნაწილი მათი მსხვერპლი თავადაც გამხდარა. მაგალითად, ლერმონტოვის ქუჩის N2-ში მცხოვრებლები ამბობენ, რომ. პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა დილის და საღამოს საათებში, როდესაც მშიერი ცხოველები ქუჩაში ჯგუფებად გადაადგილდებიან.

ერთ-ერთი დაზარალებული ნათია ლომაძე გვიყვება, თუ როგორ აღმოჩნდა ლერმონტოვის ქუჩაზე დღის 11 საათზე ქუჩის ძაღლების მსხვერპლი. „სამი ნაკბენი მქონდა. გამვლელები რომ არ დამხმარებოდნენ, ალბათ

„მთელი სამყაროც კი არ ღირს იმდენი, რამდენიც ერთი ადამიანის სული“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ლაშა ბოლქვაძე - პროფესიონალი, შემოქმედებითი უნარ-ჩვევებით და კრეატიულობით გამორჩეული ლექტორია, სხვა დადებით თვისებებთან ერთად იგი უშუალობითაც გამოირჩევა, სტუდენტებსა და კოლეგებში პატივისცემას იმსახურებს. იგი გახლავთ აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში და ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, გარდა ამისა, ბსუ-ის დოქტორანტია (ლინგვისტიკა - დიპლომატიურ დისკურსში) და ამავე უნივერსიტეტში მიწვეულია იაპონური ენის ლექტორად. პროფესიაში წარმატებული ლექტორი საინტერესო სულიერი სამყაროთიც არის დაჯილდოებული. ეს კარგად ჩანს ამ ინტერვიუშიც.

- ლაშა ბოლქვაძე - ახალგაზრდა ლექტორი მრავალმხრივი ინტერესებით... რას დაამატებდით, როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?

- ყველას და ყველაფრის დახასიათება შეიძლება, თუმცა ყველაზე ძნელი საკუთარი თავის დახასიათებაა. უფრო საინტერესო იქნება ხალხის შეფასება.

- გვიამბეთ ბავშვობაზე - როგორ იზრდებოდით და როგორ მოხვედით დღემდე?

- არ ვიყავი ზედმეტად გათამამებული, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე ვცხოვრობდი, რადგან სამხედრო პირის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ჩვენთვისაც, სხვების მსგავსად, გაჭირვება უცხო არ იყო, მკაცრად მზრდიდნენ, მაგრამ მაინც კარგ, უდარდელ, ლამაზ გარემოში გავიზარდე, რადგან მშობლები ჩემი და ჩემი ძმის მომავლისათვის არაფერს იშურებდნენ. სწავლის ფულს, ასევე ცეკვის გასტროლებისთვის საჭირო ფინანსებს ვსესხულობდით ხოლმე. მახსოვს, მამამ როგორ გაუყიდა დედას ოქროს სამკაულები... საერთოდ, ყველაფერს ყიდდნენ, რაც ძვირფასი ებადათ, რათა შესაბამისი განათლება მიგვეღო და სხვადასხვა აქტივობაში ჩავრთულიყავით, განვვითარებულიყავით. წლების შემდეგ, როცა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, გაყიდული ოქრო მამამ ხელმეორედ იყიდა და დედას ისევ აჩუქა. ეს ფაქტი ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი და სახსოვარია, რომელიც დამრჩა მშობლებისგან. გარეგნობით მამას ჩემი ძმა უფრო ჰგავს, ხასიათით კი მე. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები საზოგადოებაში მკაცრები და კრიტიკულები იყვნენ ჩვენ მიმართ, ოჯახში ყოველთვის თბილი, მოსიყვარულე, მხიარული და საოცრად მეგობრული გარემო გვქონდა. ასეთ გარემოში ვისწავლე მოთმინება, გამძლეობა, დაუღალავი შრომა, მეგობრობა, თანადგომა და ფეხზე მყარად დგომა.

- სკოლის და სტუდენტობის წლებს როგორ გაიხსენებთ?

- ძალიან კარგად მახსენდება თავისი დადებითი და თუნდაც უარყოფითი მოვლენებით. შეიძლება ითქვას, ყველაზე ნაყოფიერი წლებია სწავლისა და განვითარების მხრივ. შესაბამისად, ყველას ვურჩევ, ეს წლები ფუჭად არ გაფანტონ და ნაყოფიერად გამოიყენონ.

- მშობლებისა და პედაგოგების როლი - თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

- რა თქმა უნდა, მათი წვლილი შეუფასებელია, ვინაიდან ბავშვის აღზრდა ხანგრძლივი, შრომატევადი, საპასუხისმგებლო, ურთულესი პროცესია. აღზრდა იწყება ოჯახიდან და როდესაც პატარა საზოგადოებაში, ანუ სკოლაში გადაინაცვლებს, პიროვნებად ყალიბდება. შეუდარებელი მასწავლებლები მყავდა. სკოლის სასწავლო პროგრამიდან დაწყებული, ქცევის წესებითა და ზოგადი განათლებით დამთავრებული, გვასწავლეს, რა არის სწორი და არასწორი, როგორ უნდა გავხდეთ საზოგადოების წევრები და ამ საზოგადოებაში როგორ უნდა ვიცხოვროთ. მათი ყურადღება სკოლის ფარგლებსაც სცდებოდა და გვეხმარებოდნენ ყველაფერში. სკოლის ყველა თანამშრომელი, დირექტორიდან - დამლაგებლამდე, ძალიან აქტიურები, მოტივირებულნი, მოწადინებულნი, ორგანიზებულები იყვნენ და დარწმუნებული ვარ, ეს შემართება გადმომედო და დღემდე მომყვება, ამიტომ ხულოს საშუალო სკოლის პერსონალი ძალიან მიყვარს და ვაფასებ.

- რა როლი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში ოჯახს?

- როგორც ჯორჯ სატაიანა იტყოდა: ოჯახი ბუნების ერთ-ერთი შედეგრია. იგი კაცობრიობის სათავეა. ამიტომაც ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მთელი ცხოვრების განმავლობაში ოჯახი გვანებივრებს უამრავი ღირებულებით. მე მას სამყაროს მართვის კომპასად ვთვლი, ოჯახი გვიხატავს მომავლის სურათს და გვიჩვენებს ცხოვრების გზას, სძენს აზრს, გვიღვიძებს სურვილს, გვაძლევს იმედს, გვიცოცხლებს შინაგან მე-ს და გვაგრძნობინებს, რომ ცოცხლები ვართ და, ამავდროულად, მოკვდავები, ამიტომ აუცილებელია გზაზე ერთი ადგილის ტკეპნის ნაცვლად განუწყვეტლივ წინსვლა. ამ ყველაფერს სწორედაც რომ აქვს ზებუნებრივი, ამოუხსნელი ძალა სიმაღლეებზე აყვანისა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ არავის აქვს უფლება თქვას, რომ ოჯახზე მაღლა სხვა რამ დგას.

- ცხოვრებაში რა მიზანიც გქონდათ დასახული, თუ მიაღწიეთ და პრობლემებს როგორ უმკლავდებით?

- მიუხედავად ათწლიანი სწავლისა და შრომისა, რომელიც ჩემი მიზნის მიღწევის წინაპირობა იყო და იქამდე ერთი ნაბიჯიღა მაკლდა, ჩემს ცხოვრებაში მოხდა სამწუხარო ფაქტი - მამა გარდამეცვალა, რის გამოც მომიწია არჩევანის გაკეთება და მე კარიერასა და ოჯახს შორის ოჯახი ვარჩიე - დავბრუნდი ჩემს რაიონში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩემი გამოცდილების შესაბამის სამსახურს ვერ ვპოულობდი. მიუხედავად პრობლემებისა, არასდროს დამიყრია ფარ-ხმალი, პირიქით, ყოველთვის პოზიტიურად ვიყავი განწყობილი და ყველაფერი თავიდან დავიწყე. ამ გარემოებამ ძალიან ბევრი ნაცნობი და ახლობელი შემძინა, ვისწავლე ადამიანების გარჩევა. ეტაპობრივად ვაღწევდი მიზნებს, არ ვუშინდებოდი წინაღობებს, რითაც დღემდე მოვედი და ვცდილობ, ვიყო ჩემი ქვეყნის სამსახურში.

- თქვენ არა მხოლოდ ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე ბრძანდებით, არამედ იაპონურ ენას ასწავლით სტუდენტებს. რითი მიგიზიდათ იაპონურმა კულტურამ?

- მე ძალიან მიყვარს ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, თუმცა სტუდენტებთან ურთიერთობა და მუშაობა ჩემთვის არა მარტო საქმე, არამედ ფუფუნებაა. არაჩვეულებრივი თაობა მოდის და მასთან მეგობრობა გვმართებს. კულტურასთან დაკავშირებულიც ყველაფერი მიყვარს და მიზიდავს, ვინაიდან ეს არის სხვადასხვა ერის წარსულისა და აწმყოს უკეთ გაგების, დღემდე მოტანილი ცოდნის, გამოცდილების შეცნობა-გაზიარების მნიშვნელოვანი მექანიზმი. მას აქვს თვითშენარჩუნების უნიკალური ბუნება სპეციფიკური, ტრადიციული, ისტორიული ღირებულებებითა და თვითმყოფადობით, ეროვნული ხასიათითა და ერისადმი კუთვნილების აღქმით... როცა ამ უნიკალურობას სიღრმისეულად აკვირდები, უსასრულობამდე გიზიდავს. ჩემთვის უფრო საინტერესო იაპონური კულტურა აღმოჩნდა - სხვა პროფესიებთან ერთად, იაპონისტიც ვარ. იაპონური ენის პარალელურად იაპონურ კულტურას, ისტორიას ვსწავლობდი და ძალიან მალევე მივხვდი, რომ სხვა ქვეყნების კულტურებისგან გამორჩეულ, საოცარ კულტურას გავეცანი. ეს ერი მაგნიტივით მიზიდავს თავაზიანობით, თავმდაბლობით, პატივისცემის, მადლიერების გამოხატვით. ეს არის ენა და კულტურა, რომელშიც გინება არ არსებობს, მიდრეკილია ზრდილობიანი ფორმებისკენ, სამართლიანობისკენ, რაც აისახება მათ ქცევებზე შინ და გარეთ, საქმიანი და ყოველდღიური ცხოვრების ეტიკეტზე. ეს ყველაფერი ქმნის იაპონური კულტურის უნიკალურობას - მისგან მხოლოდ კარგს, დადებითს ითვისებ.

- თქვენი აზრით, რა არის მთავარი ცხოვრებაში?

- რთული კითხვაა, ვისთვის - როგორ, თუმცა ჩემთვის მთავარი სიყვარულია! ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებ. ეს არის ადამიანის არსებობის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

> *„მომიწია არჩევანის გაკეთება და მე კარიერასა და ოჯახს შორის ოჯახი ვარჩიე - დავბრუნდი ჩემს რაიონში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩემი გამოცდილების შესაბამის სამსახურს ვერ ვპოულობდი. მიუხედავად პრობლემებისა, არასდროს დამიყრია ფარ-ხმალი, პირიქით, ყოველთვის პოზიტიურად ვიყავი განწყობილი და ყველაფერი თავიდან დავიწყე. ამ გარემოებამ ძალიან ბევრი ნაცნობი და ახლობელი შემძინა, ვისწავლე ადამიანების გარჩევა*

- რა მოგწონთ ყველაზე მეტად ბუნებასა და ადამიანში?

- ყველაფერი ბუნების ნაწილია და მათ შორის ადამიანიც. როგორ შეიძლება არ მოგწონდეს და არ უფრთხილდებოდე ადამიანი ბუნებას?!რაც შეეხება ადამიანს, ადამიანებში მომწონს სამი ფასეულობა: შრომა, სამართლიანობა, თავმდაბლობა. ამ ფასეულობების გარეშე ადამიანთან გრძელვადიანი ურთიერთობები ჩემთვის დისკომფორტია.

- როგორი ინტუიცია გაქვთ? ქვეცნობიერს თუ უღრმავდებით?

- ინტუიცია არასდროს მღალატობს, მაგრამ, ზოგადად, მეცნიერის ტიპი ვარ, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა საკითხის სიღრმისეულად შესწავლა მიყვარს. ეს პიროვნული თვისება გვხვდება ძირითადად იაპონელებში.

- თავისუფალ დროს როგორ ისვენებთ და აქვე - თანმდევი კითხვა: ვინ არიან თქვენი მეგობრები?

- რადგან ბევრი მუშაობა მიწევს, ოჯახსა და მეგობრებთან ურთიერთობაა ჩემთვის დასვენება. ვცდილობ, მათთან ურთიერთობის დრო პროდუქტიულად გამოვიყენო.

- სულიერი ცხოვრება როგორ გესმით?

- მატერიალურ სამყაროში სულიერი ცხოვრება უმძიმესი, წარმოუდგენლად რთული გზაა, შესაბამისად, გვიჭირს იმის აღქმა, რომ მთელი სამყაროც კი არ ღირს იმდენი, რამდენიც ერთი ადამიანის სული. თუ ადამიანს სულიერების გაგება, შეცნობა არ სურს, ვფიქრობ, მისი ადამიანურობა საკითხავია.

- დაბოლოს, რომელი ფრაზით დაამთავრებდით ჩვენს დღევანდელ საუბარს?

- „არცერთი ჩვენგანი არ არის ისეთი ჭკვიანი, როგორიც ყველა ვართ ერთად“ - კენ ბლანშარი.

საქართველო – „ლოკაციის კონსულტანტების“ გაცნობითი ტურის მასპინძელი

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან თანამშრომლობით, საქართველოში საერთაშორისო საინვესტიციო კონსულტანტებს, ეგრეთ წოდებული ლოკაციის კონსულტანტების რამდენიმედღიან გაცნობით ტურს მასპინძლობს.

აშშ-დან, ევროპიდან და აზიიდან საქართველოში მყოფი საინვესტიციო კონსულტანტები უახლოესი დღეების განმავლობაში შეხვედრებს გამართავენ როგორც ადგილობრივ საკონსულტაციო კომპანიებთან, ასევე ბიზნესასოციაციებთან, დონორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში მოქმედ უცხოურ კომპანიებთან.

საერთაშორისო საინვესტიციო კონსულტანტ ლინდა არსენოს თქმით, საქართველოში გამართული შეხვედრებისას ცხადი გახდა, რომ საქართველოს აქვს კეთილგანწყობილი ბიზნესგარემო, სწორი ღირებულებები და ძალიან საინტერესო ადგილია საერთაშორისო ინვესტორებისთვის.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიჭიერი ადამიანები და ამ ნიჭის მრავალფეროვნება, ადგილმდებარეობის უპირატესობა და ხარჯების ეფექტურობა. ასევე მინდა აღვნიშნო ის უკიდურესად თბილი დახვედრა, რომელიც ჩვენს დელეგაციას ერგო წილად და ამისთვის დიდი მადლობა - ორგანიზატორებს“, - აღნიშნა ლინდა არსენომ.

„საქართველოში პირველად ვიმყოფები და ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანია ქვეყნის საინვესტიციო პერსპექტივებში გარკვევა. მინდა გითხრათ, რომ გაოცებული ვარ. ეს არის საუკეთესო ადგილი მსოფლიოში, ეს არის იდეალური კარიბჭე ცენტრალურ ევროპასა და აზიას შორის“, - განაცხადა საქართველოში ვიზიტით მყოფმა საერთაშორისო საინვესტიციო კონსულტანტმა ლორენ მოსმა. მისი თქმით, საქართველოში შესანიშნავი ინფრასტრუქტურა, ბიზნესკულტურა და კომუნიკაციის უნარებია.

„აქ არსებული ორენოვნება ძალიან შთამბეჭდავია. სიმართლე გითხრათ, აქ ცარიელი შთაბეჭდილებებით ჩამოვედი და ამ რამდენიმე დღეში პოზიტიური შთაბეჭდილებებით ვარ სავსე. საქართველოში ინვესტიციებისთვის უზარმაზარი პოტენციალია“, - განაცხადა ლორენ მოსმა.

ინფორმაციას სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ავრცელებს.

ამირან გურიელიძე

ცვლილებები – სამართალდარღვევათა კოდექსში

გზებზე სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი იგეგმება. ამის შესახებ პარლამენტის 2022 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმაშია აღნიშნული. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლს განახორციელებს. გეგმაში ნათქვამია, რომ დასაწყისისთვის კონტროლი უნდა დაიწყოს მსხვილ ქალაქებში - თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში. „დეპარტამენტი უზრუნველყოფს იმ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების დაჯარიმებას, რომელთა სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვში დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველობა გადააჭარბებს დადგენილ ნორმას“, - ნათქვამია მთავრობის გეგმაში.

ამირან გურიელიძე

უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

8 სოფელი, 10-მდე დასახლებული უბანი შედის უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში. მდიდარი ისტორიული წარსული, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ტურისტული პოტენციალი აქაურ სოფლებს, თითოეული ოჯახის კეთილდღეობას საუკეთესო პერსპექტივას უქმნის. მაინც როგორ ვითარდება ეს ადმინისტრაციული ერთეული, რა მიღწევები და სიახლეები აქვთ აქაურებს, რა დაბრკოლებები ეღობებათ განვითარების გზაზე, ამის შესახებ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში ***ემზარ დავითაძე*** *გვესაუბრება.*



- ყოველი წელი, დღე თავისი შინაარსით გარკვეულ კვალს ტოვებს ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში. მთავარია როგორ მოიხმარ დროს, რა სარგებელს გამორჩები. ქვეყნის, რეგიონის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხების მიზნობრივი განკარგვა, ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და ტურისტული ობიექტების მშენებლობა, მათ ხარისხზე ზრუნვა მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელ ბირთვთან ერთად აქტიურად ვართ ჩართული ყველა პროცესში.

- როგორი ტემპით მიდის აღნიშნული პროცესები?

- მარტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ცალკეული პროექტებისა და პროგრამების შესრულებაზე არ ვჩერდებით. გვაქვს გარკვეული გათვლები, თუ რა ეფექტს მოიტანს ფერდსამაგრი კედლის ამოყვანა, გზებზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, არსებული სარწყავი არხების მოვლა-შენახვაზე თანხების მობილიზება. გაჭიანურებულ, უხარისხოდ შესრულებულ პროექტებს ვერ ვგუობთ. ინდმეწარმეს, რომელიც სოფელ წაბლანის ცენტრის კეთილმოწყობაზე დროულად არ გაისარჯა, საქმიანობა საერთოდ შევუჩერეთ. გარკვეული შეფერხებები იყო სოფელ მოფრინეთში სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებისთვის მუშაობისას. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის როსტომ ლორთქიფანიძის, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული სამსახურის სპეციალისტების დროული და მიზნობრივი ჩარევით საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კონკურსში გამარჯვებული კომპანიების, ფირმების ხელმძღვანელები, ინდივიდუალური მეწარმეები იმისათვის, რომ საკონკურსო შერჩევაში წარმატებას მიაღწიონ, თანხებს ჯერ დაბლა წევენ, შემდეგ კი ცდილობენ სამუშაოებში ხარვეზები დატოვონ, რასაც ჩვენ მონიტორინგით, ყოველდღიური კონტროლით ვპასუხობთ. ზოგიერთები გაგვინაწყენდნენ, მაგრამ ეს სულაც არ გვადარდებს, ჩვენთვის მთავარია ალალი მშრომელი, მთის მკაცრ პირობებს შეგუებული მოსახლეობის ინტერესები დავიცვათ, მათი გული მოვიგოთ.

- წლის ბოლომდე დიდი დრო აღარ რჩება. მრავალ პროექტს ხართ შეჭიდებული, როგორ სრულდება ისინი?

- ვინც უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში შემოდის, უმალვე მის ყურადღებას რიკიხეთის უბანში არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი მიიქცევს. ერთ დროს მიგდებული ტერიტორია საუკეთესო ობიექტად იქცა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა შუახევი-რიკიხეთის საავტომობილო გზის გასწვრივ გარე განათების მოწყობასაც გვპირდება. 10 წლის წინ საუბარიც ზედმეტი იყო თემში შემოსასვლელი და სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზების მოასფალტებაზე ან ბეტონის საფარის დაგებაზე, ახლა ეს პროცესი დამამთავრებელ სტადიაზეა. არის შეპირება, რომ თაგინურის, ჩირუხის მსგავსად, მთა ღომაზე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარი დაიგება. ყველა თავისი ადგილის დედის დესპანია და ცდილობს, მის მომავალზე იზრუნოს. კარგია, რომ დაწყებულია ჩირუხის, თაგინურის მთების ტურისტული პოტენციალის ათვისებაზე ზრუნვა, მაგრამ ამ მთებს სამკურნალო თვისებებით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ტყის საფარის შენარჩუნებით, დაბა შუახევის ცენტრთან სიახლოვით მთა ღომა სჯობს. ამას სპეციალისტების, თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობის მრავალწლიანი დაკვირვების, დასკვნებისა და მსჯელობის საფუძველზე ვამბობ. ერთხანს საერთოდ შეაჩერეს მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისებაზე ზრუნვა, მაგრამ ჩვენი, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის წინადადებების, მოთხოვნების შემდეგ გარკვეული პერსპექტივა გამოჩნდა. მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის მონდომება საკმარისი ვერ იქნება. მეტ მხარდაჭერას ველოდებით ტურიზმის ცალკეული სააგენტოების, თუნდაც რეგიონისა და ქვეყნის სამინისტროების ხელმძღვანელობის მხრიდან. კარგია, რომ რეკლამა უკეთდება სასტუმროს, ისტორიულ ძეგლს, ტურისტულ ობიექტს, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ არსად ჩანს მთა ღომას მიმანიშნებელი ბანერი. თავისი დანიშნულებით არცერთ ისტორიულ ძეგლს არ ჩამორჩება ცინარეთის ციხე, მაგრამ ხეირიანი რეკლამა არ ჩანს. თავის დროზე კარგი საქმე გააკეთეს არქეოლოგიურმა სამსახურებმა, როცა წაბლანაში ნათლისმცემლის გორაზე, ჯაბნიძეებში კომაკეთის სერზე ეკლესიების ნანგრევები გაწმინდეს და წარსული დიდების ნაშთები გამოამზეურეს. მარტო წაბლანელი შალვა ველიაძის, თუნდაც ჩვენი აქტიურობა არ იქნება საკმარისი. შუახევი-წაბლანის, შუახევი-ჯაბნიძეების საავტომობილო გზების გასწვრივ მატერიალური ძეგლების ერთ მიმანიშნებელ ბანერს ვერ წააწყდებით. მისასალმებელია, რომ გოგლაურას (დარჩიძეები), ოთოლთას (ტაკიძეები) ციხეებზე მისასვლელი კიბეები გაკეთდება, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე ისტორიული ძეგლების დაცვაზე ზრუნავს, მაგრამ ცინარეთის ციხე, რატომღაც მივიწყებულია. არადა, ადგილობრივების ზრუნვით, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით ჯვარი პირველად ამ ციხეზე აღიმართა, შემდეგი ოთოლთას ციხე იყო. ჩვენი მიზანია წლის ბოლომდე ვიზრუნოთ მთა ღომაზე სპორტული მოედნის დასრულებაზე, ლაკლაკეთის, ცინარეთის, წაბლანის ცენტრების კეთილმოწყობაზე მობილიზებული თანხების დროულად და მიზნობრივად განკარგვაზე, «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების დასრულებაზე.

- სამუშაოების დასრულების ვადებში როგორ ეტევით?

- კონკურსში გამარჯვებული ფირმის ხელმძღვანელობამ კარგად დაიწყო სოფელ ცინარეთის ცენტრის კეთილმოწყობა. ამ სოფლის მშვენიერ ცენტრს მალე შეემატება საბავშვო ატრაქციონი, «სოფლის სახლის» გარე ფასადი თუნუქით შემოიჭედება. დიდ არაფერს წარმოადგენდა სოფელ ლაკლაკეთის ცენტრი. დაწყებითი სკოლის მოძველებული შენობა და უსახური სველი წერტილი არათუ ამშვენებდა, პირიქით, ამახინჯებდა სოფელს. მისი მკვიდრის - შუახევის საკრებულოს სამი მოწვევის წევრის ედნარ კეკენაძის აქტიურობით გაკეთდა «სოფლის სახლი». ახალ შენობაში დაიდო ბინა საგანმანათლებლო კერამ, კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი. ამიერიდან უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი, როცა «კეკენაძეების» საოჯახო სასტუმროში ღამეს გაათევს, ადგილობრივ კერძებს, ცოლიკაურის ღვინოს დააგემოვნებს, სოფლის ცენტრის ნახვითაც კმაყოფილი დარჩება.

> ***„ ერთეულების ახირების გამო გაუქმდა ოფელ ჯაბნიძეებში ტბეთისწყლიდან გამოყვანილი არხი. ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოქმედი ცინარეთის არხი წელს მოსახლეობას ვერ მოემსახურა. მისი რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი თანხები არ კმარა, დღევანდელ საბაზრო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, თანაც, მილები რთულ მონაკვეთზეა ჩასაწყობი. აჭარის სოფლის მეურნეობის სამელიორაციო სამსახურს ვთხოვეთ, ხელახალი კვლევა ჩაატარონ და თანხებიც მის შესაბამისად განკარგონ.***

- ლაკლაკეთში ველიაძეების საცხოვრებელ სახლებთან არსებული ძელყორი ჩამოიქცა. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ საყრდენი კედლის ამოყვანა დაიწყო. ლაკლაკეთის, ცინარეთის მოსახლეობა რიკიხიდი-ცინარეთის, კვირიაული-ლაკლაკეთის შემოვლითი გზით მოძრაობს. დეპარტამენტის, შუახევის წარმომადგენლობის ტექნიკა გზების ამ მონაკვეთების შეკეთებითაა დაკავებული. საყრდენი კედლის ამოყვანა სექტემბრის ბოლომდე დამთავრდება.

- სკოლებში სასწავლო პროცესის დაწყებას როგორ ხვდებით?

- ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელში სამსაფეხურიანი და წაბლანაში ორსაფეხურიანი საჯარო სკოლებია. სკოლა-ფილიალები მოქმედებს ვერხვანასა და ლაკლაკეთში. ადრე ფილიალები იყო ოკისში, ლომსიანეთში, ზეკარაში, გორში, მაგრამ მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო დაიხურა. ახლა სავალალო მდგომარეობაა გოგაძეებში. კლასები გაუქმებულია ცინარეთის, ტბეთის სკოლებში. სერტიფიცირებული პედაგოგები თითქმის ყველა სოფელში გვაკლია. იმედია, გამოცხადებული კონკურსის შედეგებით ისინი შეივსება. სკოლა სოფელში მთავარ სასიცოცხლო ობიექტად რჩება. მათი შენარჩუნება ყველას ვალია.

- ქვეყნის და ერის წინაშე ვალმოხდილი ადამიანების პატივის მისაგებად რა კეთდება თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულში?

- ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ტბეთელმა ხასან ჯაფარიძემ, მოფრინეთელმა სულეიმან ბერიძემ, რომლებსაც უმაღლესი განათლება სტამბოლის უნივერსიტეტში ჰქონდათ მიღებული, პლანეტების მოძრაობაზე სამეცნიერო ნაშრომები გამოაქვეყნეს. შემდგომში ორივე მათგანი დასმენებსა და რეპრესიებს ემსხვერპლა. რეპრესიებმა შეიწირა 30-იან წლებში აჭარის ლიდერი ზექერია ლორთქიფანიძე. ჩვენს თემში მიიღო შრომითი ნათლობა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან დავითაძემ. იგი უჩამბის 8-წლიანი სკოლის დირექტორი გახლდათ. ტბეთელებს გვეამაყება, რომ ჩვენი თანასოფელი იყო ვახტანგ წულუკიძე, რომელიც წლების განმავლობაში აჭარის განათლების მინისტრი და გაზეთ «საბჭოთა აჭარის» (შემდგომში «აჭარის») რედაქტორი იყო. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოფრინეთელი სიმონ ბერიძე, სამოლეთელი მევლუდ თურმანიძე, ლაკლაკეთელი მიხეილ აბუსელიძე, წაბლანელი ზექერია ველიაძე, გოგაძეებელი ემენ, ანზორ, შოთა, იური დავითაძეები, აიშე შავაძე, ცინარეთელი ნუნუ ცინარიძე, მუხამედ აბუსელიძე, სამოლეთელი «საპატიო შუახეველი» ოთარ თურმანიძე, შუახევის მასშტაბით პირველი იყო, რომელიც 1989 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მოიპოვა. შუახევის რაიონის ტერიტორიაზე პირველი საშუალო სკოლა 1949 წელს უჩამბაში გაიხსნა, რაშიც დიდია კვირიაულელი მიხეილ (მერჯან) ნაკაშიძის წვლილი. ჩემი თაობის უჩამბელებს ამ ადამიანების ღვაწლი ახსოვთ, მაგრამ მომავალ თაობებს დასამახსოვრებლად ვერაფერს ვუტოვებთ. კარგი იქნება, ამ ადამიანების საცხოვრებელ სახლებზე, თუნდაც სოფლების ცენტრებში მემორიალური დაფები გაკეთდეს, რომლებზეც მათი სახელები და დამსახურება აღინიშნება. ჩვენს სოფლებშიც მრავალი ტურისტი შემოვიდა. ისინი ცინარეთის ციხეს, ნათლისმცემლის, კომაკეთის ეკლესიების ნაშთებს ნახულობენ, მაგრამ რეკლამით სასურველ ცნობებს ვერ იგებენ იმ ადამიანებზე, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს.

- პანდემიამ საჯარო ღონისძიებები შეზღუდა, იძულებითი ორწლიანი პაუზის შემდეგ ალბათ არაერთი დღესასწაული აღინიშნეთ...

- სხალთელი და ბოლნელი ეპისკოპოსების ლოცვა-კურთხევით მთა ღომაზე «ჯვარობა» აღინიშნა. ტბეთელი იოსებ წულუკიძის გარდაცვალებამ უარყოფითი კვალი დაატყო «ტბეთობის» სახალხო დღესასწაულს, რომელიც ტრადიციულად 28 აგვისტოს ტარდებოდა. «გოგაძეობას» გაზაფხულზე ვზეიმობდით, წელს არც ის ჩატარებულა. ახლა «შუახევობის» მაღალ დონეზე აღსანიშნავად ვემზადებით. ეს ზეიმი იმისკენაა მიმართული, რომ სოფელს სახე შევუნარჩუნოთ, აქედან წასულებს ადგილის დედის მადლი და ფასი შევახსენოთ.

საფრანგეთმა გაზსაცავები მაქსიმალურად გაავსო

საფრანგეთის ხელისუფლების მიზანი - ზამთრისთვის მაქსიმალურად გაევსოთ ქვეყანაში არსებული გაზსაცავები - მიღწეულია, ამის შესახებ ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა ანიეს პანე-იუნაშემ განაცხადა.

„ეს რეზერვები ჩვენი ზამთრის მთლიანი მოხმარების 50%-ს უზურნველყოფს, ეს კი ნიშანვს, რომ ჩვენ ახლა კარგად ვართ აღჭურვილები“, - განმარტა მან ტელეკომპანია CNews-ის ეთერში.

აგვისტოს ბოლოს ითქვა, რომ ფრანგული რეზერვები 90,6%-ით იყო შევსებული, მინისტრმა კი განმარტა, რომ გაზსაცავების 100%-ით გავსება არ შეიძლება, ვინაიდან მასში უნდა იყოს სივრცე ჰაერისთვის.

ცნობისთვის: 2 დღის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ქვეყანა „ენერგეტიკულ ომში“ იმყოფებოდა. „ჩვენ ომში ვართ, ეს ფაქტია“, - თქვა მან ელისეს სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე. ის თვლის, რომ საფრანგეთმა უნდა დააჩქაროს და მეტი მოინდომოს ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების გამომუშავებისთვის.

ამირან გურიელიძე

მეტაბოლიზმი და ასაკი

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ასაკის მატებასთან ერთად რთულდება ზედმეტი კილოგრამების მოშორება. მიზეზი მეტაბოლიზმის შენელებაა, რასაც კუნთების ზომის შემცირება, ნაკლები აქტიურობა და ორგანოთა ბუნებრივი დაბერება განაპირობებს

გარდა წონის აუხსნელი მატებისა, მეტაბოლიზმის შენელებამ შესაძლოა თავი იჩინოს ქრონიკული დაღლილობით, კანის სიმშრალით, ტკბილი პროდუქტებისადმი მიდრეკილებით, დეპრესიით... თუმცა შესაძლოა შევეწინააღმდეგოთ მეტაბოლიზმის შენელების პროცესს.

მეტაბოლიზმი ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ რეაქციათა ერთობლიობაა, რომელიც სასიცოცხლო პროცესების წარმართვას განაპირობებს. მის სიჩქარეზე, ძირითადად, 4 ფაქტორი ზემოქმედებს:

დასვენების მეტაბოლური სიჩქარე - დასვენების დროს იხარჯება კალორიების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც საჭიროა სიცოცხლის შენარჩუნებისა და ორგანიზმის ფუნქციონირებისთვის;

საკვების თერმული ეფექტი - საკვების მონელებისა და შეწოვის დროს იხარჯება მთელი დღის განმავლობაში დახარჯულ კალორიათა 10 პროცენტი;

ვარჯიში - ყველაზე მეტი კალორია ამ დროს იხარჯება;

ფიზიკური აქტივობის თერმოგენეზი - კალორიები იხარჯება სხვა ყოფითი აქტივობების დროსაც.

მეტაბოლიზმზე მოქმედებს სხვა ფაქტორებიც: ასაკი, სიმაღლე, კუნთური მასა და ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული პროცესები.

განვიხილოთ მეტაბოლიზმის შენელების მიზეზები:

ფიზიკური აქტივობა და ასაკი

ფიზიკური აქტივობის ხარისხი ზემოქმედებს მეტაბოლიზმის სიჩქარეზე. დღის განმავლობაში დახარჯულ კალორიათა 10-30% ვარჯიშსა და სხვა ფიზიკურ აქტივობებზე მოდის (ზოგჯერ 50%-იც კი). როცა ადამიანი ასაკში შედის, ფიზიკური აქტიურობის ხარისხთან ერთად დახარჯული კალორიების რაოდენობაც მცირდება. კვლევებმა აჩვენა, რომ ასაკოვანი ადამიანები 29%-ით ნაკლებ კალორიას ხარჯავენ არაფიზიკური აქტივობის თერმოგენეზის ხარჯზე. მეტაბოლიზმის სიჩქარის ასეთ დაქვეითებასთან ბრძოლა შესაძლებელია აქტიური ცხოვრების წესის შენარჩუნებით. რეგულარული ვარჯიშით შესაძლებელია მეტაბოლიზმის შენელების პრევენცია.

კუნთური მასა

30 წლიდან ყოველ 10 წელიწადში კუნთების მასის საშუალოდ 3-8% იკარგება. 80 წლის ასაკში ადამიანს კუნთების მასა 30%-ით ნაკლები აქვს, ვიდრე მას 20 წლის ასაკში ჰქონდა. ასაკის მატებასთან ერთად კუნთური მასის კარგვას სარკოპენია ეწოდება და შესაძლოა მოტეხილობები, სისუსტე და სიკვდილიც კი განაპირობოს.

კუნთური მასა უფრო სწრაფად მცირდება ფიზიკურად არააქტიურ პირებთან, თუმცა მასზე სხვა ფაქტორებიც ზემოქმედებს: ნაკლები კალორიისა და ცილის მიღება, ჰორმონების (ტესტოსტერონის, ესტროგენისა და ზრდის ჰორმონის) გამომუშავების შემცირება.

მეტაბოლური პროცესები

დასვენებისას დახარჯული კალორიების რაოდენობას ორგანიზმის შიგნით მიმდინარე ქიმიური რეაქციები განსაზღვრავს. ამ რეაქციებს უმთავრესად უჯრედში არსებული 2 კომპონენტი წარმართავს: ნატრიუმისა და კალიუმის ტუმბოები და მიტოქონდრია. ნატრიუმ-კალიუმის

ტუმბო ნერვული იმპულსების წარმოქმნასა და კუნთებისა და გულის შეკუმშვაში მონაწილეობს, მიტოქონდრიები კი ენერგიას აწარმოებენ უჯრედებისთვის. ასაკთან ერთად ორივე კომპონენტი კარგავს ეფექტურობას, რაც ანელებს მეტაბოლიზმს.

მაღალი დონის მეტაბოლიზმის შენარჩუნება გადამწყვეტია მათთვის, ვისაც წონის შენარჩუნება სურს (ან გახდომა).

ზოგჯერ ვუშვებთ შეცდომებს, რომლებიც მეტაბოლიზმს ანელებს:

მეტისმეტად ცოტა კალორიის მიღება - მართალია, კალორიების შეზღუდვა აუცილებელია წონის დასაკლებად, მაგრამ როდესაც მათი რაოდენობა მეტისმეტად მცირდება, ორგანიზმი ამას საფრთხედ აღიქვამს და კალორიების წვის სიჩქარეს ამცირებს. დღეში 1100-ზე ნაკლები კალორიის მიღება ზემოქმედებს მეტაბოლიზმის სიჩქარეზე. თუ იგეგმება წონის დაკლება კალორიების შეზღუდვის გზით, მკაცრად და ხანგრძლივად შეზღუდვა არ არის რეკომენდებული;

ეკონომია ცილების ხარჯზე - საკმარისი ოდენობის ცილების მიღება მეტად მნიშვნელოვანია ჯანსაღი წონის მისაღწევად და შესანარჩუნებლად. ცილებს გაცილებით ძლიერი თერმული ეფექტი აქვთ, ვიდრე ნახშირწყლებსა და ცხიმებს. ცილები მეტაბოლიზმს 20-30%-ით ზრდის, ნახშირწყლები - 5-10%-ით, ცხიმები - 3%-ით. მეტაბოლური სიჩქარე საგრძნობლად მცირდება წონის კლებისა და შენარჩუნების დროს. თუ მეტ ცილას მივიღებთ, მეტაბოლური სიჩქარე მოიმატებს. ცილების დღიური ნორმა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ფიზიკური აქტიურობის ხარისხზე, ასაკზე, კუნთურ მასაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

მჯდომარე ცხოვრების წესი - საგრძნობლად ამცირებს დღის განმავლობაში დახარჯული კალორიების რაოდენობას. გარდა სპორტული აქტივობებისა, ფეხით სიარული, საოჯახო საქმიანობა, კიბეზე ასვლა ზრდის არაფიზიკური აქტივობის თერმოგენეზს და ხელს უშლის მეტაბოლიზმის შენელებას;

ძილის უკმარისობა - შედეგად იმატებს დიაბეტის, დეპრესიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების საფრთხე. ძილის დეფიციტი ასევე ამცირებს მეტაბოლიზმის სიჩქარეს, ზრდის წონის მატების ალბათობას. ღამის მაგივრად დღისით ძილი არღვევს სხეულის ცირკადულ რიტმს, რაც მოსვენების მეტაბოლურ სიჩქარეს საშუალოდ 8%-ით ამცირებს;

ტკბილი სასმელები - იწვევს ბევრ პრობლემას, მაგალითად, ინსულინრეზისტენტობა, დიაბეტი, სიმსუქნე. ბევრი რაოდენობით მისი მიღება აქვეითებს მეტაბოლიზმის სიჩქარეს;

ნაკლები ძალოვანი ვარჯიში - წონით ვარჯიში კარგია მეტაბოლიზმის შენელების შესაჩერებლად. ის ზრდის კუნთოვან მასას, რომელიც ორგანიზმში არსებული ცხიმისგან თავისუფალ ძირითად მასას შეადგენს. რაც მეტია ასეთი მასა, მით მეტი კალორია იხარჯება მოსვენებისას. ენერგიის დახარჯვას მინიმალური ძალოვანი ვარჯიშიც კი ზრდის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ სწორად გადავანაწილებთ ჩვენი ცხოვრების რეჟიმს, დავიცავთ გარკვეულ სიფრთხილეს, ხელს შევუშვლით ასაკთან ერთად მზარდ მეტაბოლიზმის შენელების პროცესს, შევინარჩუნებთ სასურველ წონას და ახალგაზრდულ იერს.

გიორგი პაპუნაშვილს - ვერცხლი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

თურქეთში გაიმართა მსოფლიო პირველობა აბა-ჭიდაობაში. სპორტის ეს სახეობა იქ ძალიან პოპულარულია.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის აბა-ჭიდაობის წარმომადგენლები. საქართველოს ღირსებას სამი მოჭიდავე იცავდა - გიორგი ნოზაძე, ნოდარ ბუხრიკიძე და გიორგი პაპუნაშვილი. გიორგი პაპუნაშვილი მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა. მან ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

როგორც აჭარის აბა-ჭიდაობის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სპორტის ამ სახეობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა პაატა ურიადმყოფელმა გვითხრა, აჭარის ნაკრები ჩემპიონატზე გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა.

NETFLIX-ი და ნონა გაფრინდაშვილი შეთანხმდნენ (?)

შეგახსენებთ, რომ ლეგენდარულმა ქართველმა მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილმა ამერიკული კინოინდუსტრიის გიგანტ Netflix-ს ერთი წლის უჩივლა. სარჩელი Netflix-ის მიერ სერიალ „ლაზიერის გამბიტის" (The Queen's Gambit) ფინალურ ეპიზოდში ნათქვამ წინადადებას ეხება, რომ „იქ არის ქალი მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა მას კაცი მოჭადრაკის წინააღმდეგ არასდროს უასპარეზია". აღნიშნული მონაკვეთი 1968 წლით თარიღდება, როდესაც ნონა გაფრინდაშვილს, სულ მცირე, 59 მამაკაცი მოჭადრაკის წინააღმდეგ ჰქონდა ნათამაშები. „მხარეები მოხარულნი არიან, რომ ეს საკითხი მოგვარებულია", - განაცხადა გაფრინდაშვილის ადვოკატმა რუფუს-აიზეკსმა. გარიგების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება (ქალბატონი ნონა კომპანიისგან 5 მილიონ დოლარს და სერიალში გაჟღერებული ფრაზის გამოსწორებას მოითხოვს).

ამირან გურიელიძე

ზურაბ ბოლქვაძე

ხულოს საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა - 73 წლის ასაკში გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის წარმატებული მუშაკი ზურაბ ალის ძე ბოლქვაძე.

დაიბადა სოფელ განახლებაში, ხულოში საკმაოდ ცნობილ ალი ბოლქვაძის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში ჩაერთო.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ხულოს რაიონს დაუბრუნდა. საქმიანობდა პროფესიის შესაბამისად. იყო ხულოს რაიონის დამზადების სისტემის ხელმძღვანელი.

წლები გაატარა ხულოს კავშირგაბმულობის სისტემის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ყველგან სიკეთესა და წარმატებული მოხელის სახელს ტოვებდა. სამსახურებრივ საქმიანობას აქტიურად უთავსებდა ხულოს რაიონის კეთილდღეობაზე ზრუნვას.

დატოვა შესანიშნავი ოჯახი. გვწამს, მის საქმეს შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ. პატივია, იცხოვრო ისე, როგორც ამ კაცმა იცხოვრა - თავისი შეგნებული ცხოვრება ადამიანების სიყვარულში, ჯიშ-გვარის, მეგობრების, მტრისა თუ მოყვასის გვერდით დგომაში და პატივისცემაში განვლო.

გვტოვებენ დიდებული ადამიანები... ისეთები, რომელთა წასვლაც უდიდესი დანაკლისია არა მხოლოდ მათი ოჯახებისთვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის...

ბატონი ზურაბ ბოლქვაძე ამაგდარი, ღირსეული და უბადლო ადამიანი იყო... სამწუხაროდ, დღეს წარსულ დროში გვიწევს მასზე საუბარი... მთელ რეგიონში ბავშვმაც იცოდა და ხანდაზმულმაც მისი როლი და დამსახურება. ის იყო კაცი, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ბოლქვაძეების
საგვარეულო კავშირის
გამგეობა

წელს საქართველოდან გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა იანვარ-ივლისში 163,5%-ით გაიზარდა

გერმანიის ლტოლვილთა და მიგრანტების ფედერალური ოფისის სტატისტიკის მიხედვით, ამა წლის 7 თვეში ლტოლვილის სტატუსი საქართველოს 3 966-მა მოქალაქემ მოითხოვა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 1 505-მა.

მთლიანად ამ დროისთვის ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე განაცხადი საქართველოს 4 475 მოქალაქეს აქვს დაწერილი, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 150%-ით მეტია. 2021 წლის 7 თვეში ფედერაციულ რესპუბლიკაში ლტოლვილის სტატუსს საქართველოს 1 805 მოქალაქე ითხოვდა.

ამავე სტატისტიკით, მთლიანად წელს იანვარ-ივლისში გერმანიაში თავშესაფრის მიღებაზე განაცხადი სხვადასხვა ქვეყნის 98 395-მა მოქალაქემ დაწერა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებელში ქართველების წილი მცირეა, ჩვენი მოქალაქეები გერმანიაში თავშესაფრის მიღების მოთხოვნის მსურველთა ხუთეულში მაინც შედიან.

უფრო კონკრეტულად: წელს 7 თვეში გერმანიაში თავშესაფარზე ყველაზე მეტი განაცხადი სირიის მოქალაქეებმა დაწერეს - 28.709 (29,2%), მეორე ადგილზეა ავღანეთი - 17.042 (17,3%) განაცხადით, სამეულში შედის ერაყი, საიდანაც გერმანიაში თავშესაფარი 8 843-მა მოქალაქემ ითხოვა, რაც მთლიანი მაჩვენებლის 9%-ია. ხუთეულში შედიან თურქეთი - 7.621 (7,7%) და საქართველო - 3.966 (4%) განაცხადი.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/09/22, 22 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ლიანა ისაკაძე – ვარსკვლავებს შორის ვარსკვლავი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის მწერალთა სახლში გაიმართა ლიანა ისაკაძის არაჩვეულებრივი წიგნის „მუსიკის ზეიმის“ პრეზენტაცია, რომელიც ფესტივალ „ღამის სერენადების“ სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ისაკაძემ და მისმა დირექტორმა ნინა ცაგარელმა წარადგინეს

მსოფლიოში აღიარებული მევიოლინე ლიანა ისაკაძე ვირტუოზთა რიცხვშია, ცნობილი ფაქტია - მისი სახელი შეტანილია გასული საუკუნის საუკეთესო მევიოლინეთა რიცხვში.

როგორც წინასიტყვაობაში ნინა ცაგარელი ამბობს (მას ლიანა ისაკაძესთან დიდი ხნის შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს), წიგნში მკითხველი გაეცნობა ამ უდიდესი მუსიკოსის როგორც ბიოგრაფიულ ამბებს და პროფესიულ საქმიანობას, ასევე ლიტერატურულ შემოქმედებას, რაც აქამდე მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. წიგნის გამოცემის წინაპირობა ქალბატონი ლიანას მანამდე გამოცემული „მედიტაციებია“. იგი გვესაუბრება მუსიკაზე, ხელოვნებაზე, სამყაროს მისეულ აღქმაზე... როგორც თავად მუსიკოსი ამბობს: „მიწიერი სილამაზის ჭვრეტა შეუძლებელია სრულ სიმშვიდეში“. ამ წიგნსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ. იგი ორ ენაზეა - ქართულსა და ინგლისურზე.

როგორც წიგნის ერთ-ერთმა რედაქტორმა დონარი სამადაშვილმა პრეზენტაციაზე აღნიშნა, „მუსიკის ზეიმში“ ისეთი ღრმა აზრი დევს და იმდენად შთამბეჭდავია, რომ ვინც წაიკითხა, სამაგიდო წიგნად მიიჩნია. მასში ბევრგან არის ნახსენები სიყვარული, რომელიც დაკავშირებულია მაღალფარდოვანთან, გათანაბრებულია რელიგიასთან. მისეული სიყვარული არის სიღრმისეული, ეს არ არის რაღაც „კაცისა და ქალის გაცვეთილი სიყვარული“, ანუ აქ არ არის საუბარი სამჯნურო ურთიერთობებზე, არამედ ძალიან ღრმა დამოკიდებულებაზე სამყაროსადმი, ადამიანისადმი, რაც შთამბეჭდავია. წიგნში წარმოდგენილია საინტერესო ფოტოგალერეა, უნიკალურია მისი ხელით ჩასწორებული წერილი.

- ამ წიგნზე მუშაობის პროცესი იყო ძალიან სასიამოვნო, თუმცა სირთულეებიც ახლდა, რადგან გვსურდა, ყველაფერი ისე გაგვეკეთებინა, როგორც ლიანა ისაკაძეს ეკადრებოდა. ღრმა პატივისცემით ვეკიდებოდით თითოეულ დეტალს. მის გენიოსურ ნაწილს ისე ვერ შევაფასებთ, როგორც მუსიკისმცოდნეები, სპეციალისტები აფასებენ, როგორც მკითხველი და მსმენელი ისე განვიხილავთ ყოველივეს. მისი შემოქმედება იმდენად ღრმა და ფილოსოფიურია, რომ გაოცებს, ნუთუ შეიძლება ერთ ადამიანში ორი ასეთი ბუმბერაზი თანაარსებობდეს - გენიალური მუსიკოსი და გენიოსი ფილოსოფოსი?! - გვითხრა ქალბატონმა დონარიმ.

- იყო პერიოდი, როცა ჯაზი, რეპი არ იყო მისაღები, მაგრამ როცა გენიოსის ხელი შეეხო, მარტივი, გასაგები და გენიალურიც კი გახდა ამ მიმდინარეობის გამორჩეული ნაწარმოებები. ეს გენიალურობა იმაშია, რომ რაღაცებს გიმარტივებს. მადლობა თქვენ, რომ ამ წიგნისთვის მოიცალეთ და გააკეთეთ საქმე, რომელიც სწორედ ამ ეპოქაში უნდა შექმნილიყო, რადგან ის ჩვენი დროის შვილია. ის მართლაც, მოვლენაა. - აღნიშნა შეხვედრაზე პოეტმა ვახტანგ ღლონტმა.

- წიგნი საოცრებაა. მუსიკას ვუსმენ, მიყვარს, მაგრამ არ ვარ განათლებული მსმენელი, სამაგიეროდ, კითხვა მიყვარს, იდეალური მკითხველი ვარ. აქ ამ წიგნის რამდენიმე გვერდი წავიკითხე და გაოცებული დავრჩი ხელოვანის ფილოსოფიით. ასე ღრმად წვდებოდეს მუსიკოსი ფილოსოფიას და ხელოვნებას, იშვიათია. დიდი სიამოვნება მომანიჭა ამ წიგნმა. დანარჩენს სახლში გულდასმით წავიკითხავ და შესაძლოა, ქალბატონ ლიანას პოემაც მივუძღვნა და ეს არ იქნება შემთხვევითი, - გვითხრა პოეტმა ცისანა ანთაძემ.

- ბათუმში „ღამის სერენადები“ დაწყებისთანავე გამორჩეული ფესტივალი გახდა ყველაფრით. ყოველ საღამოს 600-700 მსმენელი მოდიოდა და არცერთი ადგილი არ იყო თავისუფალი. იმისთვის, რომ ყველაფერი უზადოდ გაკეთებულიყო, ყველა დიდ შრომას დებდა, ღამეებიც გვითენებია... ამ კონცერტებზე მიკროფონს დიდი მნშვნელობა ენიჭება, ყველაფერი გათვლილი უნდა იყოს და როცა გვეგონა, ყველაფერს მოვრჩით, მოვიდოდა დილით ქალბატონი ლიანა და იტყოდა: „Убрать эту сцену“. მუშები გაოცებული და შეწუხებულები გვიყურებდნენ, თავიანთი სადარდებელი ჰქონდათ, ვინ აუნაზღაურებდა დამატებით სამუშაოს? მაგრამ ვიცოდით, რომ ეს მისი „კაპრიზი“ არ იყო, მან იცოდა, რომ ყველა ინსტრუმენტის ხმა ერთნაირად უნდა გაჟღერებულიყო. ბედნიერი ვარ, რომ ლიანა ისაკაძის დროს დაიწყო ამ ფესტივალზე ჩემი მოღვაწეობა და დღესაც გრძელდება. მჯერა, მუდამ იარსებებს „ღამის სერენადები“ და იქნება აფხაზეთისა და აჭარის ერთობლივი ფესტივალი. მადლობა ბათუმის მერიას, მის ყველა თანამშრომელს, ვინც მხარში უდგას ამ შესანიშნავ ღონისძიებას. ეს საუკეთესო ფესტივალია და მისი ჩატარების საკითხი ყოველწლიურად უსიტყვოდ, ერთხმად დადებითად წყდება. ჩვენთან დაარსებულა არაერთი ფესტივალი და შემდეგ აკვირდებიან, განვითარდა თუ არა. ლიანას ფესტივალი ხელშეუხებელია. მადლობა მინდა გადავუხადო უპირველესად, ქალბატონ ლიანას მისი დაარსებისთვის და შემდეგ მისი ორგანიზებისთვის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი ისაკაძესა და დირექტორ ნინა ცაგარელს. ეს არ არის ერთი და ორი დღის სამუშაო, მთელი წლის სამუშაოა. რატომ ვთქვი ეს? იმიტომ, რომ როგორც ფესტივალია მნიშვნელოვანი, ასევეა ეს წიგნი, რომელიც თაობებს დარჩება, - აღნიშნა მუსიკისმცოდნე თამაზ ნიკოლაიშვილმა.

- სამწუხაროდ, არ ვართ განებივრებული ჩვენი დიდი ხელოვანების შემოქმედების მონოგრაფიებით. სასიხარულოა, რომ ასეთი წიგნი გამოიცა. ლიანა ღვთით ბოძებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია, იმის ღირსია, რომ დაიწეროს დიდი მონოგრაფიები, წიგნები მის შესახებ. ეს უნდა გაკეთდეს მანამ, სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ და გვახსოვს მისი შემოქმედება. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ცოცხალი შესრულებები, ღვთით ბოძებული ნიჭი, რაც მადლივით გადმოედინება. საოცრება იყო მისი შესრულებული ბახის ნაწარმოებები, ეს იყო ღმერთთან საუბარი და ჩვენ ამ საუბრის თანამონაწილე ვხდებოდით. ჩვენ ამ ყველაფერს მონუსხულივით ვუსმენდით და მეც ვერ გამოვდიოდი ამ შთაბეჭდილებებიდან. ლიანა ისაკაძე არა მხოლოდ შემსრულებელი, მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია, რომელსაც ფართო ინტერესები გააჩნია. ფესტივალიც ერთ-ერთი მისი იდეაა. ლიანა ვარსკვლავებს შორის ვარსკვლავია. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ფესტივალების ჩატარების ტრადიცია რეგიონებში არ იყო. ლიანა პირველი იყო, რომელმაც ბიჭვინთაში 40 წლის წინათ ჩაატარა ეს ფესტივალი, რომელიც 2009 წელს ბათუმში აღდგა. შუალედში ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალი გამართა და ესეც არაჩვეულებრივი იყო, - გვითხრა თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასაწავლებლის დირექტორის მოადგილემ, ხელოვნების დოქტორმა თინა ღვინერიამ.

- ლიანა ისაკაძე დაბადებიდან მუსიკაში ცოცხლობს და მუსიკაც ცოცხლობს მასში. შემოქმედის სწრაფვა და სურვილია, ადამიანებს უზიარებდეს ასეთ ხელოვნებას, რომელიც აკეთილშობილებს მათ და, ამავდროულად, ამ ზეიმის მონაწილედ ხდის. ბედნიერი ვარ, რომ ეს წიგნი გამოიცა, ადრე იყო გამოცემული მისი „მედიტაციები“ და ეს ლიანას ხმა, ღრმა ფიქრისა და მედიტაციის შედეგია. წიგნში არის მისი მოსაზრებები, აფორიზმული გამონათქვამები, რომლებიც შეეხება ზოგადად, ზნეობრიობას, მსოფლიო სევდას, რელიგიას, ადამიანურ ტკივილს... ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ მას ვიცნობთ როგორც ყოველთვის ლაღ, ღიმილიან, კაცთმოყვარე პიროვნებას, მაგრამ ნებისმიერი სახის ტკივილი ძალიან აწუხებს და გვერდით არ ჩაუვლის. სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი უმაღლესი დრამატიზმი, რომელიც კრიტიკოსების აზრით მის შემოქმედებას ახასიათებს. ეს წიგნი არის ქრისტიანულ, ადამიანურ სიყვარულზე, შემოქმედებაზე, გულწრფელობაზე, სადაც ვეზიარებით დიდი ხელოვანის უშუალო, მდიდარ შინაგან სამყაროს, - აღნიშნა გიორგი ისაკაძემ.

შეხვედრას ესწრებოდა მხატვარი ნინო მირიანაშვილი, რომლის შემოქმედებამ დაამშვენა წიგნის გარეკანი. ის შესრულებულია ძალიან საინტერესო კოლაჟით და ტექნიკით, მცირე ზომის ფურცლებით, სადაც არ არის საღებავი გამოყენებული. ამ ფურცლებს ფერად ჟურნალებში ეძებს, არჩევს ფერებით, ჭრის და მერე, როგორც მოზაიკას, ისე აწყობს.

ვფიქრობთ, წიგნი „მუსიკის ზეიმი“ დიდი შენაძენია როგორც საქართველოსთვის, ისე უცხო ქვეყნის მკითხველთათვის.

საკუთარი სულის ძიებაში...

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხატია ლიკოჟელი, 27 წლის, შავი ზღვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პროფესიით იურისტია და ამ განხრით ლექციებსაც კითხულობს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის უკმარისობის განცდა ეუფლებოდა, გრძნობდა, იცოდა, რომ სულ სხვა სფეროში უნდა გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი

დღეს უნდა გიამბოთ გოგონაზე, რომელიც ფიქრობს, რომ ხელოვანი ადამიანი თავისი მე-სკენ შეტრიალებული ადამიანია.

- როდის დაიწყეთ ქარგვა?

- სამი წელია, რაც ქარგვა დავიწყე. ავიღე ნემსი, ძაფი და ჩემს შთაგონებას მივენდე. ნაქარგების გამოქვეყნებას ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, ყოველდღე მიწევდა იმის დამტკიცება, რომ ნამდვილად ჩემი ნამუშევრები იყო. არასოდეს არსად მიცდია, მესწავლა ხატვა, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ერთ დღეს ჩემს რეალურ სამყაროს ვიპოვიდი. ვფიქრობ, შთამომავლობით მხვდა წილად ამის ნიჭი. ბებიაჩემი ხალიჩებს ქსოვდა, არაერთი ნამუშევრის ავტორია. მისი მოქსოვილი ხალიჩები ძვირადღირებულადაა აღიარებული. დღემდე სახლში ვინახავთ ამ განძს. ალბათ, სწორედ ამ გენების დამსახურებაა ჩემი დღევანდელი შემოქმედება.

- რა ან ვინ არის თქვენი მუზა?

- ჩემი აზრით, ხელოვანი ადამიანი თავისი მე-სკენ შეტრიალებული ადამიანია. მე ვარ ჩემი პიროვნების, ჩემი სულის ძიებაში. საკუთარ თავს შევუტრიალდი და შეიძლება ეგოისტურად ჟღერდეს, მაგრამ თვითონ ვარ საკუთარი თავის მუზა.

- რითი ქმნით ნამუშევრებს? რა მასალას იყენებთ მათი სრულყოფისთვის?

- ამას ხშირად მეკითხებიან, ზოგს ჰგონია, რაიმე სქემას ვიყენებ, ზოგიც ფიქრობს, რომ ფოტომასალის დახმარებით ვქმნი ნამუშევრებს. არადა, ვიღებ უბრალო ნაჭერს, რომელიც შეძლებს აიტანოს ქარგვის პროცესი, ანუ არ დაიხევა, მახათს და საქსოვ ძაფებს. ვაკეთებ ამ ნაჭერზე მარტივ მონახაზს და შემდეგ ფანტაზიით თავს უფლებას ვაძლევ, ფერები ვათამაშო, გადმოვიტანო ის, რაც ჩემშია.

- როგორც ვიცი, უცხოეთიდანაც დაგიკავშირდნენ ნამუშევრებთან დაკავშირებით...

- პირველი ორი ნაქარგი რომ გამოვაქვეყნე სოციალურ ქსელში, ჩემდა გასაკვირად, ისეთი ყურადღება და მოწონება დაამსახურა, რომ ბევრმა უცხოელმა საკუთარ გვერდზეც კი განათავსა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩემთვის საოცარი იყო, რადგან სულ რამდენიმე კვირის დაწყებული მქონდა ქარგვა. ბევრმა გამოთქვა ნამუშევრების შეძენის სურვილი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჯერ არ ვჩქარობ. მინდა ბევრი მოვაგროვო და ამაზე მუხლჩაუხრელად ვმუშაობ.

- გეგმებზე რას გვეტყვით?

- ვაპირებ პერსონალური გამოფენის მოწყობას, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა. ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ოცნება და ვიმედოვნებ, მალე რეალობად ვაქცევ.